ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №9

30 მარტი, 2018 თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
15:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
3. დავით უჯმაჯურიძე - კომისიის წევრი;
4. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
5. დავით რურუა - კომისიის წევრი;
6. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, „თბილისის ავტობუსების პროექტი - კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის პროგრამის“ განხორციელების მიზნით გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების“ თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ (12-031808870-03, 29.03.2018).

კომისიის სხდომა ჩაითვალა უფლებამოსილად და შეუდგა მუშაობას დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **თედო ისაკაძე.**

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მომხსენებელი:

- **ირმა არევაძე** - შპს ,,თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ფინანსური დირექტორი.

ი.არევაძე: წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, თანხმობა უნდა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკთან.

ზ/ა ხელშეკრულების თანახმად, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი, გრანტის სახით გამოყოფს 280 000 (ორას ოთხმოცი ათასი) ევროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში „თბილისის ავტობუსების პროექტი - კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის პროგრამის“ განხორციელების მიზნით.

აღნიშნული გრანტის ათვისების მიზნით, EBRD-ს მიერ გამოცხადებული იქნა ტენდერი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 8 საკონსულტაციო კომპანიამ. მათ შორის გამარჯვებულად გამოვლენილ იქნა საკონსულტაციო ჯგუფი Mott Macdonald CZ, spol. S.r.o (შემდგომში - „კონსულტანტი“). შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ საკონსულტაციო ხელშეკრულებას გააფორმებს კომპანია Mott Macdonald CZ, spol. S.r.o-სთან (შემდგომში - „კონსულტანტი“), ზემოხსენებული პროგრამის განხორციელების მიზნით. აღნიშნული საგრანტო ხელშეკრულების მიზანია „კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის პროგრამის“ განხორციელების დაფინანსება, რათა კომპანიამ უზრუნველყოს პროექტის ეფექტური განხორციელება კონსულტანტების მომსახურების მეშვეობით. საგრანტო ხელშეკრულების თანახმად, გრანტის მიმღებია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი, ხოლო საბოლოო ბენეფიციარი - კომპანია, რომელმაც უნდა გააფორმოს საკონსულტაციო ხელშეკრულება კონსულტანტთან. ხელშეკრულება დაიდება 24 თვის ვადით (2018 წლის 18 აპრილიდან 2020 წლის 16 აპრილამდე) და მისი მაქსიმალური ღირებულებაა 280,000.00 ევრო. საკონსულტაციო კომპანია დაკომპლექტებულია საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების ჯგუფით, რომელთა გამოცდილება შეესაბამება EBRD-ს მიერ მოთხოვნილ საკვალიფიკაციო პირობებს.

საკონსულტაციო მომსახურების ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ტექნიკური დავალება, რომლის საფუძველზეც, გაწერილია კონულტანტის მიერ განსახორციელებელი ვალდებულებები ორ ნაწილად. I ნაწილი მოიცავს კომპანიისთვის კორპორატიული განვითარების პროგრამის შემუშავებას (რათა კომპანიამ მოახდინოს კომერციული მდგომარეობის, მომსახურების, გარემოსდაცვითი და სოციალური შეხედულებების იდენტიფიცირება და განხორციელება კონსულტანტების მხარდაჭერით, რაც, თავის მხრივ, მოიცავს კომპანიაში არსებული კორპორაციული, ფინანსური, საოპერაციო და გარემოსდაცვითი და სოციალური მენეჯმენტის EBRD-ის ფინანსურ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში მოყვანას). I ნაწილის ფარგლებში კონსულტანტი ვალდებულია, უზრუნველყოს კომპანიასთან ერთად კორპორატიული განვითარების გეგმის შედგენა.

II ნაწილის ფარგლებში ძირითადი ამოცანაა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების შესახებ (მომსახურების ხარისხისა და სარეაბილიტაციო ღონისძიებების) საჯარო მონაწილეობის გაზრდა და პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. ასევე, II ნაწილის ფარგლებში გატარდება ღონისძიებები სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით, სატარიფო რეფორმებისა და სოციალური მხარდაჭერის მიმართულებით და ა.შ.

შ.ოგბაიძე: კომპანია Mott Macdonald-ს აქვს ძალიან დიდი გამოცდილება. ამ კომპანიამ ჩამოაყალიბა პირობები MAN-ის ავტობუსების შეძენის დროს.

თ.ისაკაძე: პროექტის საფუძველზე, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით გადაიდგმება კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - **6;** თავი შეიკავა - **0,** წინააღმდეგი - **0**), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის, „თბილისის ავტობუსების პროექტი - „კორპორატიული განვითარებისა და დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის პროგრამის“ განხორციელების მიზნით გასაფორმებელი გრანტის ხელშეკრულების“ თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტზე სატრანსპორტო საკითხთა კომისიის მიერ შემუშავებული დასკვნა გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე **თედო ისაკაძე**